

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ეკომედი

ს/ნ 202455093

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2024

საქმიანობის შედეგები 31.12.2024

განმარტებითი შენიშვნები

შპს „ეკომედის“-ის ფინანსური ანგარიშგება, 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და წინა შესადარის წლებზე ინფორმაცია, მომზადებული და დამტკიცებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია : საზოგადოება დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2008 წლის 9 დეკემბერს, დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2010 წლის 14 იანვრიდან.

საფირმო სახელწოდება: შპს ეკომედი

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 202455093

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., #45

ფაქტიური მისამართი : საქართველო, თბილისი, ქავთარაძის პირველი შესახვევი N8

საქმიანობის ძირითადი სფერო, აღწერა: შპს „ეკომედის“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სახიფათო (ძირითადად სამედიცინო) ნარჩენების შეგროვება და უტილიზაცია. უფრო კონკრეტულად „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამედიცინო დანესებულებები ვალდებულები არიან მართონ მათი საქმიანობის შედეგად წარმოშობილი სახიფათო, რისკის შემცველი ნარჩენები, რომელიც ექვემდებარება სპეციალური წესით შეგროვებასა და უტილიზაციას. „ეკომედი“ შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე ახორციელებს მთელი საქართველოს მასშტაბით არსებული სამედიცინო დანესებულებებიდან რისკის შემცველი ნარჩენების შეგროვებას და უტილიზაციას. საწარმოს გააჩნია ამ სფეროში მოღვაწეობის 13 წლიანი გამოცდილება, ფლობს უტილიზაციისათვის აუცილებელ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შესაბამის ნებართვებს და მოწყობილობებს - ინსენირატორებს (საწვავი ღუმელი) - დასავლეთ საქართველოში, სამტრედიაში და ხობში; აღმოსავლეთ საქართველოში: გარდაბანში და თელავში. უტილიზაციის პროცესი მოიცავს სამედიცინო დანესებულებაში სპეციალური კონტეინერების განთავსებას, დადგენილი/აუცილებელი პერიოდულობით ნარჩენების ტრანსპორტირებას განადგურებისთვის სპეციალურ ადგილებში და მის უტილიზაციას დადგენილი წესით.

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ ვალუტაში ლარი.

ანგარიშგების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2024 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

სააღრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში "მსს ფასს"), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს :

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს
3. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის

შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელი დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. სალარო არ გვაქვს. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

“ეკომედი“ ემსახურება 1200-ზე მეტ მომხმარებლებს, ესენი არიან კლინიკები, ჰოსპიტალები, სტომატოლოგიური კაბინეტები, სილამაზის სალონები, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებები, რომელთა მომსახურების ღირებულება 90%-ზე მეტ შემთხვევაში ყოველთვიურად 50 ლარზე ნაკლებია, მათ შორის კი უმეტესობასთან თვეში 10 და 20 ლარიანი ხელშეკრულებით ვმუშაობთ. საუყურადღებოა ასევე მომხმარებელთა ურთულესი, არაკონცენტრირებული მდებარეობის ფაქტორი, კერძოდ ის, რომ ჩვენი გვყავს მომხმარებლები მესტიაში, ახალქალაქში, წალენჯიხაში, თელავში, ზუგდიდში, ქუთაისში, თბილისში, მათ მიმდებარე რაიონებსა და სოფლებში, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ბიზნესის ფუნქციონირებას.

საწარმოსთვის ურთულესი -პრობლემაა დებიტორული დავალიანების მართვა. განსაკუთრებით რთულია, რეგიონებში განლაგებული მცირე კლინიკებისა და საწარმოების დებიტორული დავალიანების შემცირება. ეს ვალდებულებები წარმოადგენს როგორც მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მიმდინარე ვალდებულებებს, ასევე 2010 წლიდან მოყოლებული, ფუნქციონირება შეწყვეტილი ორგანიზაციების ვალებს, რომლებსაც შეუწყდათ ხელშეკრულება. საერთო დებიტორული დავალიანების მნიშვნელოვან წილს სწორედ მრავალწლიანი და მცირე საწარმოთა 100 დან 1000 ლარამდე დავალიანებები შეადგენს. მათგან ხშირია შემთხვევები როდესაც 10-20-30 ლარიანი ყოველთვიური ანაზღაურება გადაუხდელობა 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, დავალიანება 150 - 600 ლარია, მაგრამ ურთულესია ერთის მხრივ ვალდებულებების იძულებით დაფარვის მეთოდის გამოყენება და მეორეს მხრივ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა. ფორმარულად (იურიდიული) თვალსაზრისით ჩვენ გაგვაჩნია მომსახურების საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის უფლებამოსილება, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ სამედიცინო დაწესებულებები, მათ შორის რეგიონალური

ამბულატორიები და კლინიკები კანომდებლობით ვალდებულნი არიან განახორციელონ სამედიცინო/სახიფათო ნარჩენების მართავა-უტილიზაცია, ჩვენი მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტამ შესაძლოა სანიტარულ - ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გართულება ან/და მათი (მომხმარებლების) საქმიანობის უკანონოდ განხორციელება გამოიწვიოს.

2024 წელს გაანალიზებულია საწარმოს დებიტორული დავალიანების სტრუქტურა, საიდანაც იდენტიფიცირებულია და გამოყოფილია 2010 წლიდან მომდინარე, ერთმნიშვნელოვნად უიმედო დავალიანებები (მათ შორის გარდაცვლილი და უმოქმედო მენარმე ფიზიკური პირები და ლიკვიდირებული, უმოქმედო სხვა პირები), აღნიშნული დავალიანებები აღირიცხება ცალკე, და აღარ აისახება ანგარიშგებაში, რათა არ შექმნას არარეალური წარმოდგენა საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებზე.

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

აქტივების აღრიცხვა - მრავალჯერადი გამოყენების აქტივები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში, სპექტანსაცემელი და შრომის დაცის საშალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს

-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცულებელი ნივთები და მასალები (კატრიჯები, დისკები, ეკრანის საწმენდი სითხე და სხვა ანალოგიური) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება შესაბამის ხარჯებს.

მასალები რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემნადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხარე საშუალება მიეკუთვნება ზედნადებ ხარჯებს, მასალები რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის, ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სათადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება მიმდინარე რემონტის ხარჯებში

ძირითადი საშუალებები-

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს
- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება (გეგმიური დაგროვება)
- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებებით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით
- საწარმო ძირითადი საშუალებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან.

არამატერიალური აქტივები

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდბოსს ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის
- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით

- საკუთარი ძალებით შექმნილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში ასახეული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახეული თანხებით)

შემოსავლების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგებოი ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება .

- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი -ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

კაპიტალი -

საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საწარმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით,

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლის შესაბამისად, საწარმოს მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. დასაგებეგრი მოგება იბეგრება 15 %-ით.

ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადანაცვებულებები კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადანაცვებულებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადანაცვებულებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო

მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში

საეჭვო ვალების რეზერვი. საწარმო კლიენტის გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად შეეცდება შექმნას საეჭვო ვალების გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ, 2023 წლის 31 დეკემბრიდან, ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნებოდა საწარმოზე. შპს ეკომედი მიუხედავად შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე საომარი მოქმედებების და პოსტპანდემიური მდგომარეობისა, როგორც საანგარიშგებო, ისე მის შემდგომ პერიოდში აგრძელებს სტაბილურ ფუნქციონირებას.

დირექტორი: კახაბერ ხუბუა

ბუღალტერი: ნინო ბაბუნიაძე




შპს "ეკომედი" (ს/კ 202455093)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024 -ის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31.12.2024
მინა	1	70 353,00
შენობა ნაგებობა	1	8 513,00
სატრანსპორტო საშუალებები	1	211 318,00
სხვა ძირითადი საშუალებები	1	128 213
სულ გრძელვადიანი აქტივები		418 397
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	-
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	3	282 094
გადახდილი ავანსები	6	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	34 704
სულ მიმდინარე აქტივები		316 798
სულ აქტივები		735 195
ვალდებულებები		
სავაჭრო და სახელფასო ვალდებულებები	5	-
საგადასახადო ვალდებულებები	6	-
საიჯარო ვალდებულებები	6	1 429
სასესხო ვალდებულებები	7	158 104
სულ მიმდინარე ვალდებულებები		159 533
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	8	-
გაუნაწილებელი მოგება	8	575 661
სულ კაპიტალი		575 661
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		735 194

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს "ეკომედი" (ს/კ 202455093)

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლის და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

შემოსავალი	2024
შემოსავალი რეალიზიციიდან	
შემოსავლები მომსახურებიდან	2 181 392
იჯარა	
საპროცენტო შემოსავლები	
<u>სულ შემოსავალი</u>	<u>2 181 392</u>
ხარჯები	
გაყიდვების თვითღირებულება	528 177
შრომის ანაზღაურება	870 975
საიჯარო ქირა	40 217
სხვა ხარჯები	1 653
ცვეთა და ამორტიზაცია	85 356
სესხის პროცენტი	29 125
<u>სულ ხარჯი</u>	<u>1 555 503</u>
მოგება	625 889
მოგების გადასახდი	90 792
მოგების განაწილება	514 490
დარჩენილი მოგება	20 607

დირექტორი:

ბუღალტერი:



ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წ.ის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

		2023 წელი
#	დასახელება	თანხა
შემოსავალი		
1	შემოსავალი მიწიდებიდან და მომსახურებიდან	2 181 392
2	სხვა შემოსავალი	
	სულ შემოსავალი	2 181 392,00
გასავალი		
1	გადახდილი ხელფასები	682 845
2	გადახდილი დივიდენდები	488 765,00
3	გადახდილი გადასახადები	624 001,00
4	სესხის გადახდა (ბანკი)	104 861,00
5	გადახდილი %	29 125,00
6	ბანკის მომსახურების ხარჯი	1 853,00
7	საწვავი, კომუნალური გადასახადები და სხვა ხარჯები	239 485,00
8	სხვადასხვა გასავალი	22 388,00
	სულ გასავალი	2 193 323,00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	46 635,00
	ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	34 704,00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს "ეკომედი" (ს/კ 202455093)

შპს "ეკომედი" (ს/კ 202455093)

შენიშვნა 1 - ფიქსირებული აქტივები

ბალანსი 31 დეკემბერი 2024 წელი	418 397,00
მიწის ნაკვეთები	70 353,00
შენობა-ნაგებობები	8 513,00
მანქანა-დანადგარები	38 344,00
სატრანსპორტო საშუალებები	211 318,00
სხვა ძირითადი საშუალებები	89 869,00
ნაშთი 31 დეკემბერი 2022 წელი	384 123,00
მიწის ნაკვეთები	16 353,00
შენობა-ნაგებობები	8 961,00
მანქანა-დანადგარები	47 930,00
სატრანსპორტო საშუალებები	220 884,00
სხვა ძირითადი საშუალებები	89 995,00

ბუღალტერი



შპს "ეკომედი" (ს/კ 202455093)

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

#	დასახელება	31.12.202246.
1		-
		-

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს "ეკომედი" (ს/კ 202455093)

**შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება;
გადახდილი ავანსები**

#	დასახელება	31.12.2024 წ.
1	მოთხოვნები გაწეული მომსახურებიდან	292 094,00
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	292 094,00

შენიშვნა: გაანალიზებულია საწარმოს დებიტორული დავალიანების სტრუქტურა, საიდანაც იდენტიფიცირებულია და გამოყოფილია 2010 წლიდან მომდინარე, ერთმნიშვნელოვნად უიმედო დავალიანებები (მათ შორის გარდაცვლილი და უმოქმედო მენარმე ფიზიკური პირები და ლიკვიდირებული, უმოქმედო სხვა პირები), აღნიშნული დავალიანებები აღირიცხება ცალკე, და აღარ აისახება ანგარიშგებაში, რათა არ შექმნას არარეალური წარმოდგენა საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებზე.

დირექტორი:

ბუღალტერი:



შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31.12.2023 წ.	31.12.2024 წ.
1210	ფული საბანკო ანგარიშზე	46 635,00	34 704,00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	46 635,00	34 704,00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შენიშვნა 5 - საგაჭრო და სახელფასო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2023 წ.	31.12.2024 წ.
1	საიტარო ვალდებულებები	19 368,00	1 429,00
2	სხვა მომწოდებლები	27 111,00	0,00
	ჯამი	46 479,00	1 429,00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
1	ჯამური საგადასახადო ვალდებულება (ზედმეტობა)	-	- 728,00
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	-	- 728,00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შპს "ეკომედი" (ს/კ 202455093)

შენიშვნა 7 - სასესხო ვალდებულებები

#	დასახელება	31.12.2024 წ.	31.12.2023 წ.
1	საწარმოს საანგარიშგებო და წინა შესადარის საბანკო სესხები (ძირი)		
1,1	სს თიბისი ბანკი	158 104,00	207 965,00
1,2		0,00	0,00
	სულ სასესხო ვალდებულებები	158 104,00	207 965,00

დირექტორი:

ბუღალტერი:



შენიშვნა 9 - კაპიტალი

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
1	ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	555 054,00	555 054,00	555 054,00
2	საანგარიშო პერიოდის მოგება	535 097,00	535 097,00	535 097,00
3	კაპიტალის შემცირება; დივიდენდის გაცემა	514 490,00	514 490,00	514 490,00
4	ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	575 661,00	575 661,00	575 661,00

დირექტორი:

ბუღალტერი:

